

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1080
30/08/2018

1080-09-3-201808301638



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის
უფროსს ქალბატონ მაგული კუნჭულიას
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის როლანდ ლაშხიას

დამატებითი განმარტებითი ბარათი

2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილებები მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში N1467 და N1621 განკარგულებებით შეტანილი ცვლილებების შედეგად შემცირდა კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება 116147 ლარით და საგზაო ინფრასტრუქტურის ღირებულება გაიზარდა 431101 ლარით.

საქართველოს მთავრობის N1622 17 აგვისტოს სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 600000 ლარი, მათ შორის: წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებზე 8000 ლარი, ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 32500 ლარი, გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია 559500 ლარი.

მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე შემცირდეს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ გურიას დაფინანსება 25000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 3444 ლარით, საგზაო ინფრასტრუქტურის დაფინანსება გაიზარდოს 21556 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის შრომის ანაზღაურების ფონდის 5600 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის სოც.უზრუნველყოფის მუხლი 5600 ლარით.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური